ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კომპანიის ოპერაციების შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებსა და ფულად ნაკადებს 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკების ისე წარმოდგენაზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის შესაბამისობა, სანდოობა, შესადარისობა და აღქმადობა;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფასს-ების კონკრეტული მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის განმარტებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- ფინანსური ანგარიშგების თანმხედრი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს-ის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო, გონივრულად შესაძლებელი ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია იმგვარი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილების შემცველი.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
კახაბერ აბუაშვილი
საქართველო, თბილისი
2025 წლის 20 ოქტომბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მოკლე აღწერილობის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემული თარიღით დასრულებული წლის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

საყურადღებო საკითხი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაში, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის გაყიდვების 100% და 88% მოდიოდა მეკავშირე მხარეებზე. ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავედროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ, ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და სამართლიანად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ისე მოსამზადებლად, რომ ის არ შეიცავდეს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვანდინოთ კიდევ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი

დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სამართლებრივი და სარეგულაციო მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ გავცანით მმართველობის ანგარიშს და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ვასკვნით, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას; და
- მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შეესაბამება სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით
შოთა ნანიტაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

		2024 GEL	2023 GEL	2024 USD*	2023 USD*
	შენიშვნა				
შემოსავალი მომხმარებლებთან					
გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	6	72,043	184,692	26,479	70,281
გაყიდვების თვითღირებულება	7	(63,381)	(162,204)	(23,295)	(61,724)
მთლიანი მოგება		8,662	22,488	3,184	8,557
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(8,465)	(7,390)	(3,111)	(2,812)
სხვა ხარჯები, წმინდა		126	(339)	47	(129)
საოპერაციო მოგება		323	14,759	120	5,616
საპროცენტო შემოსავალი		82	22	30	8
ფინანსური ხარჯები		(303)	(280)	(112)	(106)
მოგება მოგების გადასახადამდე		102	14,501	38	5,518
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-	-
წლიური მოგება		102	14,501	38	5,518
სხვა სრული ზარალი:					
უცხოური ოპერაციების ფინანსური					
ინფორმაციის კონვერტირება					
საპრეზენტაციო ვალუტაში		-	-	(378)	(109)
წლის სხვა სრული ზარალი:		-	-	(378)	(109)
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		102	14,501	(340)	5,409

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი

კახაბერ აბუაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	მენიშვნა	GEL	GEL	USD*	USD*
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები		147	151	53	56
არამატერიალური აქტივები		5	1	2	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		152	152	55	56
მიმდინარე აქტივები					
მარაგები		17	15	8	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	26,346	22,567	9,387	8,391
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	4,194	3,094	1,494	1,150
სულ მიმდინარე აქტივები		30,557	25,676	10,889	9,547
სულ აქტივები		30,709	25,828	10,944	9,603
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი და რეზერვები					
საწესდებო კაპიტალი	11	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		24,514	24,412	8,916	8,878
კუმულატიური სავალუტო სხვაობა		-	-	(179)	199
სულ კაპიტალი		24,514	24,412	8,737	9,077
მიმდინარე ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხი	13	5,625	-	2,004	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	570	1,416	203	526
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,195	1,416	2,207	526
სულ ვალდებულებები		6,195	1,416	2,207	526
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		30,709	25,828	10,944	9,603

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი
კახაბერ აბუაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო
9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ GEL
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	9,911	9,911
წლის მოგება	-	14,501	14,501
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	24,412	24,412
წლის მოგება	-	102	102
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	24,514	24,514

	საწესდებო კაპიტალი	კუმულატიური სავალუტო კორექტირება	გაუნაწილებელი მოგება	სულ USD*
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	308	3,360	3,668
წლის მოგება	-	-	5,518	5,518
წლის სხვა სრული ზარალი	-	(109)	-	(109)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	199	8,878	9,077
წლის მოგება	-	-	38	38
წლის სხვა სრული ზარალი	-	(378)	-	(378)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(179)	8,916	8,737

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი
კახაბერ აბუაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	2024 GEL	2023 GEL	2024 USD*	2023 USD*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე	102	14,501	38	5,518
კორექტირება:				
ცვთვისა და ამორტიზაციის ხარჯი	48	44	18	17
საპროცენტო შემოსავალი	(82)	(22)	(30)	(8)
ფინანსური ხარჯები	303	280	112	106
ვალუტის გაცვლით მიღებული (მოგება) / ზარალი, წმინდა	(342)	352	(126)	134
საკურსო სხვაობა	-	-	4	53
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი	29	15,155	16	5,820
კაპიტალის ცვლილებებამდე				
მარაგები	1	1,244	-	473
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,957)	(16,294)	(1,087)	(6,201)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(848)	(3,750)	(312)	(1,426)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(3,804)	(18,800)	(1,399)	(7,154)
მიღებული პროცენტი	82	23	29	9
საბანკო გარანტიის პროცენტის გადახდა	(257)	(227)	(95)	(86)
გადახდილი სხვადასხვა საბანკო საკომისიო	(50)	(53)	(18)	(20)
საოპერაციო საქმიანობაში გასული ნაღდი ფული, წმინდა	(4,000)	(3,902)	(1,467)	(1,431)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(46)	(99)	(17)	(38)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	(46)	(99)	(17)	(38)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
მოკლევადიანი სესხი - გადასახდელი	5,625	-	2,004	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	5,625	-	2,004	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(479)	(692)	(176)	(263)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,094	7,787	1,150	2,882
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,194	3,094	1,494	1,150

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი
კახაბერ აბუაშვილი
 2025 წლის 20 ოქტომბერი
 თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

1. ზოგადი ინფორმაცია

მპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“ („კომპანია“) დაფუძნებულია საქართველოში, 2013 წლის 21 ნოემბერს, მარეგისტრირებული ორგანოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405019313. მისი სარეგისტრაციო მისამართია ი. ჭავჭავაძის გამზირი 33, ბინა 28, ვაკე-საბურთალო, თბილისი, საქართველო. კომპანია ჩართულია ნავთობ-პროდუქტებისა და ნავთობ-ქიმიური ნივთიერებების ტრანსპორტირებაში.

კომპანიის მაკონტროლებელი მხარეა „ბლექ სი ტრანს ლიმიტედი“, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%. საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედი“.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება განვითარებული ბაზრისგან განსხვავებული რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ ძლიერი ზრდა შეინარჩუნა, ნაწილობრივ უცხოელი მოქალაქეების მიგრაციის ზრდით, რამაც ხელი შეუწყო საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას. თუმცა, ამ გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, ინფლაცია შედარებით დაბალი და სტაბილური დარჩა, რაც ასახავს დაბალანსებულ ეკონომიკურ გარემოს.

მენეჯმენტი უძღურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა და, შესაბამისად, ყველა ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება იქონიოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების მოდიფიკაციით. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები.

ფასს-თან შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული პროგნოზების გამოყენებას. ეს პროცესი მენეჯმენტისგან აგრეთვე მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას განსჯის გამოყენებას. განსჯის მეტი ხარისხის მომცველი ან მეტი სირთულის მქონე ასპექტები ან ისეთი ასპექტები, რომლებშიც დაშვებებსა და პროგნოზებს მეტი ეფექტი აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

შემოსავალი. შემოსავალი არის კომპანიის მიერ მიღებული ის თანხები, რომლებსაც კომპანია იღებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. შემოსავლის აღიარება ხდება ტრანზაქციის ფასის თანხაში. ტრანზაქციის ფასი არის იმ ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს კლიენტისათვის შეპირებული საქონლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით მიღებული თანხების გამოკლებით.

მომსახურების გაყიდვა. კომპანიის მიერ მომსახურების გაწევა ხდება ფიქსირებულფასიანი კონტრაქტების საფუძველზე. მომსახურებაზე კონტროლის გადაცემა ხდება დროის განმავლობაში და, შედეგად, კომპანია შესრულების ვალდებულებას ასრულებს დროთა განმავლობაში, მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კი აღიარებს მომსახურების გაწევის საადრიცხვო პერიოდში.

კლიენტი ფიქსირებულ თანხას იხდის გადახდის გრაფიკის შესაბამისად. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აჭარბებს გადახდილ თანხას, ხდება სახელშეკრულებო აქტივის აღიარება. თუ გადახდილი თანხა აჭარბებს გაწეული მომსახურების ღირებულებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება.

ფინანსირების კომპონენტები. კომპანია არ მოელის, რომ მას ექნება ისეთი ხელშეკრულება, რომელშიც პერიოდი კლიენტისათვის შეპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემასა და კლიენტის მიერ თანხის გადახდას შორის ერთ წელიწადს გადააჭარბებს. შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს ტრანზაქციის ფასებს დროში ფულის ღირებულების ცვლილების საფუძველზე.

ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში, კლიენტი ფიქსირებულ თანხას იხდის გადახდის გრაფიკის შესაბამისად. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აჭარბებს გადახდილ თანხას, ხდება სახელშეკრულებო აქტივის აღიარება. თუ გადახდილი თანხა აჭარბებს გაწეული მომსახურების ღირებულებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება.

ფინანსური შემოსავალი. ფინანსურ შემოსავალში შედის საპროცენტო შემოსავალი, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის საფუძველზე.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები აისახება იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც პირი ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარსა და აშშ დოლარში. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. ეკვივალენტური თანხები აშშ დოლარში წარმოდგენილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თანხები ლარიდან აშშ დოლარში კონვერტირებულია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლო გაცვლითი კურსით ანუ 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თანხები ლარიდან აშშ დოლარში კონვერტირებულია 2024 წლის საშუალო გაცვლითი კურსით ანუ 1 აშშ დოლარი = 2.7208 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6279 ლარი). კაპიტალის ანგარიშგებაში თანხები ლარიდან აშშ დოლარში კონვერტირებულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც დადგინდა აღიარებისას.

ტრანზაქციები და ნაშთები. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანილია ტრანზაქციის დღეს მოქმედი კურსით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ამგვარ ტრანზაქციებზე განხორციელებული ანგარიშსწორებით და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს დაფიქსირებული კურსით კონვერტირებით, აღიარებულია მოგება-ზარალში. სავალუტო მოგება და ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოცემულია მუხლში „სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯები“.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს ფიქსირებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსურ ანგარიშგებაში:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
GEL/USD	2.8068	2.6894
GEL/EUR	2.9306	2.9753

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი მოცემულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს მთლიანად ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) აღარ არიან ვალდებული, 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგება დაბეგრონ მოგების გადასახადით, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა რომ განაწილდა დივიდენდის სახით. ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტი მოგების 15%-იანი გადასახადი ერიცხება მთლიან თანხას (ანუ წმინდა სახით მოცემულ დივიდენდებს დაერიცხება 5%-იანი საშემოსავლო გადასახადი თუ ასეთი დივიდენდზე ვრცელდება და გაიყოფა 0.85-ზე). 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებულ მოგებაზე რეზიდენტი იურიდიულ პირებზე გადახდილი დივიდენდები გადასახადისგან თავისუფალია.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი მოგებიდან გადახდილი დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება მთლიან თანხაზე, რასაც გამოაკლდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტი (ის იანგარიშება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ნაწილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე). თუმცა, საგადასახადო კრედიტის ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს განაწილებულ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის თანხას.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, დივიდენდების ფაქტობრივად გადახდის თარიღის ან პერიოდის მიუხედავად.

გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ისეთ ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას, აქტივების ან მომსახურებათა უფასოდ მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. წარმოშობისთანავე იბეგრება პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსები და ამგვარ პირებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე აგრეთვე ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების დაბრუნებაზე მისაღები საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში, მუხლით „გადასახადები მოგების გადასახადის გარდა“.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდით და თითოეული აქტივის ღირებულება ჩამოირიცხება მის ნარჩენ ღირებულებამდე საპროგნოზო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. გამოიყენება შემდეგი წლიური ცვეთის განაკვეთები:

სასარგებლო მოხმარების ვადა,
წელი

ავტო-სატრანსპორტო საშუალებები
 ავეჯი, აქსესუარები და საოფისე ტექნიკა

6-7
5

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მოხმარების ვადები გადაიხედება და, აუცილებლობის შემთხვევაში, კორექტირდება, თითოეულ საანგარიშო თარიღში. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის საპროგნოზო აღსადგენ ღირებულებას აღემატება, აქტივი მაშინვე ჩამოიწერება აღსადგენ ღირებულებამდე.

ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და მომსახურების ხარჯები აისახება იმ წლის მოგება-ზარალში, რომელშიც მოხდა მათი გაწევა. მსხვილმასშტაბიანი რემონტის ღირებულება და სხვა შემდგომი ხარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში შედის, თუ მოსალოდნელია, რომ არსებული აქტივის მუშაობის თავდაპირველად შეფასებული სტანდარტის ზემოთ ყველა მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმდები კომპანია იქნება. მსხვილმასშტაბიანი რემონტის ცვეთის დარიცხვა ხდება შესაბამისი აქტივის მთელი დარჩენილი სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალების აღიარების გაუქმება ხდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც მისი მოხმარებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება სავარაუდო აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად, განისაზღვრება, როგორც სხვაობა სარეალიზაციო შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა. თითოეულ საანგარიშო თარიღში კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, თუ არსებობს იმის ნიშანი, რომ ამ აქტივებმა გაუფასურების ზარალი განიცადა. თუ ამის რაიმე ნიშანი არსებობს, ფასდება აქტივის აღსადგენი ღირებულება, რომლის მეშვეობით დგინდება გაუფასურების ზარალის ოდენობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ინდივიდუალური აქტივის აღსადგენი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, კომპანია აფასებს იმ ფულის მაგენერირებელი ერთეულის აღსადგენ ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი ეკუთვნის.

აღსადგენი ღირებულება არის უდიდესი სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენებულ ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მიმდინარე დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის საშუალებით. დისკონტირების განაკვეთში ასახული უნდა იყოს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი რისკები.

თუ შეფასებით დადგინდა, რომ აქტივის (ან ფულის მაგენერირებელი ერთეულის) აღსადგენი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება აღსადგენ ღირებულებამდე ჩამოიწერება.

გაუფასურების ზარალი მყისიერად აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის ასახული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც, გაუფასურების ზარალი განიხილება როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

შემდგომში გაუფასურების ზარალის აღდგენის შემთხვევაში, აქტივის (ფულის მაგენერირებული ერთეულის) საბალანსო ღირებულება მისი აღსადგენი ღირებულების კორექტირებულ საპროგნოზო ოდენობამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იარსებებდა, ამ აქტივზე (ფულის მაგენერირებულ ერთეულზე) რომ არ მომხდარიყო გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის ასახული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც, გაუფასურების ზარალი განიხილება როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდილი იქნება ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

მოქმედ ბაზარზე გასაყიდი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და პირის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლი. ასე ხდება მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის აბსორფციისათვის და ერთ ტრანზაქციაში პოზიციის გაყიდვაზე შეკვეთის განთავსებამ შეიძლება კოტირებულ ფასზე იმოქმედოს.

ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გასაზომად, რომლის გარე საბაზრო ფასდადების ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა, გამოიყენება შეფასების ტექნიკები, როგორებიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან თავისუფალი ნებით განხორციელებულ ბოლოდროინდელ ტრანზაქციებზე დაფუძნებული მოდელები, ან კიდევ ინვესტირების ობიექტების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. სამართლიანი ღირებულების საზომები ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით, შემდეგნაირად: (1) პირველი დონე არის მოქმედ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული); (2) მეორე დონე არის შეფასების ისეთი ტექნიკა, რომელშიც შემავალი ძირითადი მონაცემები აქტივზე ან ვალდებულებაზე ხილულია პირდაპირ (ფასები) ან ირიბად (ფასისგან მიღებული მაჩვენებელი); და (3) მესამე დონის საზომია ისეთი შეფასების ტექნიკა, რომელიც არ ეყრდნობა მხოლოდ ხილულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება მოითხოვს დიდი რაოდენობით არახილული მონაცემების გამოყენებას).

ტრანზაქციის ხარჯები არის ზედნადები ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან რეალიზაციას. ზედნადებია ისეთი ხარჯი, რომლის გაწევა საჭირო არ იქნებოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილი ჰონორარი და საკომისიო, მარეგულირებელი სამსახურებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლები, გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის ვალის პრემიუმები და დისკონტები, ფინანსური ხარჯები და შიდა ადმინისტრაციული ან ჰოლდინგური ხარჯები.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, რასაც აკლდება გადახდილი ძირითადი თანხ, ემატება დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოდნე განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გათვალისწინებით კორექტირებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციის ფასი.

საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა ხილული მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ხილული საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „სამართლიანი ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ ("FVTPL"), „სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით" ("FVOCI") და ამორტიზებული ღირებულებით ("AC"). სასესხო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (1) შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელსა და (2) ფულად ნაკადებზე, რომლებითაც ეს აქტივი ხასიათდება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას ("SPPI"). როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან თანხვედრაში არ არის, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. პირს არ მოუხდენია ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესაძარისი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განხორციელდება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალ ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალ ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანია იყენებს ფასს 9 სტანდარტით გათვალისწინებულ გამარტივებულ მიდგომას, რომელიც გულისხმობს ყველა სავაჭრო მოთხოვნაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის შექმნას მთელი არსებობის მანძილზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებით (მოთხოვნები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონით, პროდუქტის ტიპით, კლიენტის რეიტინგით, უზრუნველყოფით ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევით).

ფინანსური აქტივები – ჩამოწრა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის,

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ის ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, და იმავდროულად (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) „სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ („FVTPL“): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემდგომი მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალის ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღება, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას („SPPI“) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვს სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაში, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის გაყიდვების 100% და 88% მოდიოდა მეკავშირე მხარეებზე. ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ, ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

თბილისი, 2024 წლის 15 იანვარი

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და სამართლიანად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ისე მოსამზადებლად, რომ ის არ შეიცავდეს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაუქმანების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაუქმანების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ კიდევ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი

დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და გარიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სამართლებრივი და სარეგულაციო მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ გავეცანით მმართველობის ანგარიშს და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ვასკვნით, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას; და
- მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შეესაბამება სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით
შოთა ნანიტაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

 ნანიტაშვილი

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2024 GEL	2023 GEL	2024 USD*	2023 USD*
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	6	72,043	184,692	26,479	70,281
გაყიდვების თვითღირებულება	7	(63,381)	(162,204)	(23,295)	(61,724)
მთლიანი მოგება		8,662	22,488	3,184	8,557
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(8,465)	(7,390)	(3,111)	(2,812)
სხვა ხარჯები, წმინდა		126	(339)	47	(129)
საოპერაციო მოგება		323	14,759	120	5,616
საპროცენტო შემოსავალი		82	22	30	8
ფინანსური ხარჯები		(303)	(280)	(112)	(106)
მოგება მოგების გადასახადამდე		102	14,501	38	5,518
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-	-
წლიური მოგება		102	14,501	38	5,518
სხვა სრული ზარალი:					
უცხოური ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის კონვერტირება					
საპრეზენტაციო ვალუტაში		-	-	(378)	(109)
წლის სხვა სრული ზარალი:		-	-	(378)	(109)
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		102	14,501	(340)	5,409

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი

კახაბერ აბუაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

Handwritten signature

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	შენიშვნა	GEL	GEL	USD*	USD*
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები		147	151	53	56
არამატერიალური აქტივები		5	1	2	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		152	152	55	56
მიმდინარე აქტივები					
მარაგები		17	15	8	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	26,346	22,567	9,387	8,391
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	4,194	3,094	1,494	1,150
სულ მიმდინარე აქტივები		30,557	25,676	10,889	9,547
სულ აქტივები		30,709	25,828	10,944	9,603
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი და რეზერვები					
საწესდებო კაპიტალი	11	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		24,514	24,412	8,916	8,878
კუმულატიური სავალუტო სხვაობა		-	-	(179)	199
სულ კაპიტალი		24,514	24,412	8,737	9,077
მიმდინარე ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხი	13	5,625	-	2,004	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	570	1,416	203	526
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,195	1,416	2,207	526
სულ ვალდებულებები		6,195	1,416	2,207	526
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		30,709	25,828	10,944	9,603

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი

კახაბერ აბუაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ GEL
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	9,911	9,911
წლის მოგება	-	14,501	14,501
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	24,412	24,412
წლის მოგება	-	102	102
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	24,514	24,514

	საწესდებო კაპიტალი	კუმულატიური სავალუტო კორექტირება	გაუნაწილებელი მოგება	სულ USD*
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	308	3,360	3,668
წლის მოგება	-	-	5,518	5,518
წლის სხვა სრული ზარალი	-	(109)	-	(109)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	199	8,878	9,077
წლის მოგება	-	-	38	38
წლის სხვა სრული ზარალი	-	(378)	-	(378)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(179)	8,916	8,737

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი
კახაბერ აბუაშვილი

2025 წლის 20 ოქტომბერი
 თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

ბილა გუგუჩი

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

	2024 GEL	2023 GEL	2024 USD*	2023 USD*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე	102	14,501	38	5,518
კორექტირება:				
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	48	44	18	17
საპროცენტო შემოსავალი	(82)	(22)	(30)	(8)
ფინანსური ხარჯები	303	280	112	106
ვალუტის გაცვლით მიღებული (მოგება) / ზარალი, წმინდა	(342)	352	(126)	134
საკურსო სხვაობა	-	-	4	53
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი	29	15,155	16	5,820
კაპიტალის ცვლილებებამდე				
მარაგები	1	1,244	-	473
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,957)	(16,294)	(1,087)	(6,201)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(848)	(3,750)	(312)	(1,426)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(3,804)	(18,800)	(1,399)	(7,154)
მიღებული პროცენტი	82	23	29	9
საბანკო გარანტიის პროცენტის გადახდა	(257)	(227)	(95)	(86)
გადახდილი სხვადასხვა საბანკო საკომისიო	(50)	(53)	(18)	(20)
საოპერაციო საქმიანობაში გასული ნაღდი ფული, წმინდა	(4,000)	(3,902)	(1,467)	(1,431)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(46)	(99)	(17)	(38)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	(46)	(99)	(17)	(38)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
მოკლევადიანი სესხი - გადასახდელი	5,625	-	2,004	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	5,625	-	2,004	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(479)	(692)	(176)	(263)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,094	7,787	1,150	2,882
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,194	3,094	1,494	1,150

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი
კახაბერ აბუაშვილი
 2025 წლის 20 ოქტომბერი
 თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

გაბრიელ ბაგრატი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“ („კომპანია“) დაფუძნებულია საქართველოში, 2013 წლის 21 ნოემბერს, მარეგისტრირებული ორგანოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405019313. მისი სარეგისტრაციო მისამართია ი. ჭავჭავაძის გამზირი 33, ბინა 28, ვაკე-საბურთალო, თბილისი, საქართველო. კომპანია ჩართულია ნავთობ-პროდუქტებისა და ნავთობ-ქიმიური ნივთიერებების ტრანსპორტირებაში.

კომპანიის მაკონტროლებელი მხარეა „ბლექ სი ტრანს ლიმიტედი“, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%. საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედი“.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება განვითარებული ბაზრისგან განსხვავებული რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ ძლიერი ზრდა შეინარჩუნა, ნაწილობრივ უცხოელი მოქალაქეების მიგრაციის ზრდით, რამაც ხელი შეუწყო საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას. თუმცა, ამ გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, ინფლაცია შედარებით დაბალი და სტაბილური დარჩა, რაც ასახავს დაბალანსებულ ეკონომიკურ გარემოს.

მენეჯმენტი უძლურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა და, შესაბამისად, ყველა ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება იქონიოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3. საადრიცხო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების მოდიფიკაციით. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საადრიცხო პოლიტიკები.

ფასს-თან შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული პროგნოზების გამოყენებას. ეს პროცესი მენეჯმენტისგან აგრეთვე მოითხოვს საადრიცხო პოლიტიკების გამოყენებისას განსჯის გამოყენებას. განსჯის მეტი ხარისხის მომცველი ან მეტი სირთულის მქონე ასპექტები ან ისეთი ასპექტები, რომლებშიც დაშვებებსა და პროგნოზებს მეტი ეფექტი აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრინცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

შემოსავალი. შემოსავალი არის კომპანიის მიერ მიღებული ის თანხები, რომლებსაც კომპანია იღებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. შემოსავლის აღიარება ხდება ტრანზაქციის ფასის თანხაში. ტრანზაქციის ფასი არის იმ ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს კლიენტისათვის შეპირებული საქონლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით მიღებული თანხების გამოკლებით.

მომსახურების გაყიდვა. კომპანიის მიერ მომსახურების გაწევა ხდება ფიქსირებულფასიანი კონტრაქტების საფუძველზე. მომსახურებაზე კონტროლის გადაცემა ხდება დროის განმავლობაში და, შედეგად, კომპანია შესრულების ვალდებულებას ასრულებს დროთა განმავლობაში, მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კი აღიარებს მომსახურების გაწევის საადრინცხო პერიოდში.

კლიენტი ფიქსირებულ თანხას იხდის გადახდის გრაფიკის შესაბამისად. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აჭარბებს გადახდილ თანხას, ხდება სახელშეკრულებო აქტივის აღიარება. თუ გადახდილი თანხა აჭარბებს გაწეული მომსახურების ღირებულებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება.

ფინანსირების კომპონენტები. კომპანია არ მოეღოს, რომ მას ექნება ისეთი ხელშეკრულება, რომელშიც პერიოდი კლიენტისათვის შეპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემასა და კლიენტის მიერ თანხის გადახდას შორის ერთ წელიწადს გადააჭარბებს. შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს ტრანზაქციის ფასებს დროში ფულის ღირებულების ცვლილების საფუძველზე.

ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში, კლიენტი ფიქსირებულ თანხას იხდის გადახდის გრაფიკის შესაბამისად. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აჭარბებს გადახდილ თანხას, ხდება სახელშეკრულებო აქტივის აღიარება. თუ გადახდილი თანხა აჭარბებს გაწეული მომსახურების ღირებულებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება.

ფინანსური შემოსავალი. ფინანსურ შემოსავალში შედის საპროცენტო შემოსავალი, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის საფუძველზე.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები აისახება იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც პირი ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარსა და აშშ დოლარში. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. ეკვივალენტური თანხები აშშ დოლარში წარმოდგენილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თანხები ლარიდან აშშ დოლარში კონვერტირებულია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლო გაცვლითი კურსით ანუ 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თანხები ლარიდან აშშ დოლარში კონვერტირებულია 2024 წლის საშუალო გაცვლითი კურსით ანუ 1 აშშ დოლარი = 2.7208 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6279 ლარი). კაპიტალის ანგარიშგებაში თანხები ლარიდან აშშ დოლარში კონვერტირებულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც დადგინდა აღიარებისას.

ტრანზაქციები და ნაშთები. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანილია ტრანზაქციის დღეს მოქმედი კურსით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ამგვარ ტრანზაქციებზე განხორციელებული ანგარიშსწორებით და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს დაფიქსირებული კურსით კონვერტირებით, აღიარებულია მოგება-ზარალში. სავალუტო მოგება და ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოცემულია მუხლში „სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯები“.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს ფიქსირებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსურ ანგარიშგებაში:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
GEL/USD	2.8068	2.6894
GEL/EUR	2.9306	2.9753

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი მოცემულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს მთლიანად ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) აღარ არიან ვალდებული, 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგება დაბეგრონ მოგების გადასახადით, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა რომ განაწილდა დივიდენდის სახით. ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტი მოგების 15%-იანი გადასახადი ურიცხვად მთლიან თანხას (ანუ წმინდა სახით მოცემულ დივიდენდებს დაერიცხება 5%-იანი სამემოსავლო გადასახადი თუ ასეთი დივიდენდზე ვრცელდება და გაიყოფა 0.85-ზე). 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებულ მოგებაზე რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადახდილი დივიდენდები გადასახადისგან თავისუფალია.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი მოგებიდან გადახდილი დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება მთლიან თანხაზე, რასაც გამოაკლდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტი (ის იანგარიშება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ნაწილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე). თუმცა, საგადასახადო კრედიტის ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს განაწილებულ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის თანხას.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, დივიდენდების ფაქტობრივად გადახდის თარიღის ან პერიოდის მიუხედავად.

გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ისეთ ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას, აქტივების ან მომსახურებათა უფასოდ მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. წარმოშობისთანავე იბეგრება პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსები და ამგვარ პირებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე აგრეთვე ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების დაბრუნებაზე მისაღები საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში, მუხლით „გადასახადები მოგების გადასახადის გარდა“.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. საადრინცვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდით და თითოეული აქტივის ღირებულება ჩამოირიცხება მის ნარჩენ ღირებულებამდე საპროგნოზო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. გამოიყენება შემდეგი წლიური ცვეთის განაკვეთები:

სასარგებლო მოხმარების ვადა,
წელი

ავტო-სატრანსპორტო საშუალებები
 ავეჯი, აქსესუარები და საოფისე ტექნიკა

6-7
5

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მოხმარების ვადები გადაიხდება და, აუცილებლობის შემთხვევაში, კორექტირდება, თითოეულ საანგარიშო თარიღში. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის საპროგნოზო აღსადგენ ღირებულებას აღემატება, აქტივი მაშინვე ჩამოიწერება აღსადგენ ღირებულებამდე.

ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და მომსახურების ხარჯები აისახება იმ წლის მოგება-ზარალში, რომელშიც მოხდა მათი გაწევა. მსხვილმასშტაბიანი რემონტის ღირებულება და სხვა შემდგომი ხარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში შედის, თუ მოსალოდნელია, რომ არსებული აქტივის მუშაობის თავდაპირველად შეფასებული სტანდარტის ზემოთ ყველა მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმღები კომპანია იქნება. მსხვილმასშტაბიანი რემონტის ცვეთის დარიცხვა ხდება შესაბამისი აქტივის მთელი დარჩენილი სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალების აღიარების გაუქმება ხდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც მისი მოხმარებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება სავარაუდო აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად, განისაზღვრება, როგორც სხვაობა სარეალიზაციო შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა. თითოეულ საანგარიშო თარიღში კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, თუ არსებობს იმის ნიშანი, რომ ამ აქტივებმა გაუფასურების ზარალი განიცადა. თუ ამის რაიმე ნიშანი არსებობს, ფასდება აქტივის აღსადგენი ღირებულება, რომლის მეშვეობით დგინდება გაუფასურების ზარალის ოდენობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ინდივიდუალური აქტივის აღსადგენი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, კომპანია აფასებს იმ ფულის მაგენერირებელი ერთეულის აღსადგენ ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი ეკუთვნის.

აღსადგენი ღირებულება არის უდიდესი სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენებულ ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მიმდინარე დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის საშუალებით. დისკონტირების განაკვეთში ასახული უნდა იყოს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი რისკები.

თუ შეფასებით დადგინდა, რომ აქტივის (ან ფულის მაგენერირებელი ერთეულის) აღსადგენი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება აღსადგენ ღირებულებამდე ჩამოიწერება.

გაუფასურების ზარალი მყისიერად აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის ასახული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც, გაუფასურების ზარალი განიხილება როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

შემდგომში გაუფასურების ზარალის აღდგენის შემთხვევაში, აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მისი აღსადგენი ღირებულების კორექტირებულ საპროგნოზო ოდენობამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იარსებებდა, ამ აქტივზე (ფულის მაგენერირებელ ერთეულზე) რომ არ მომხდარიყო გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის ასახული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც, გაუფასურების ზარალი განიხილება როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდილი იქნება ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

მოქმედ ბაზარზე გასაყიდი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და პირის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლი. ასე ხდება მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის აბსორფციისათვის და ერთ ტრანზაქციაში პოზიციის გაყიდვაზე შეკვეთის განთავსებამ შეიძლება კოტირებულ ფასზე იმოქმედოს.

ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გასაზომად, რომლის გარე საბაზრო ფასდადების ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა, გამოიყენება შეფასების ტექნიკები, როგორებიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან თავისუფალი ნებით განხორციელებულ ბოლოდროინდელ ტრანზაქციებზე დაფუძნებული მოდელი, ან კიდევ ინვესტირების ობიექტების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. სამართლიანი ღირებულების საზომები ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით, შემდეგნაირად: (1) პირველი დონე არის მოქმედ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული); (2) მეორე დონე არის შეფასების ისეთი ტექნიკა, რომელშიც შემავალი ძირითადი მონაცემები აქტივზე ან ვალდებულებაზე ხილულია პირდაპირ (ფასები) ან ირიბად (ფასისგან მიღებული მაჩვენებელი); და (3) მესამე დონის საზომია ისეთი შეფასების ტექნიკა, რომელიც არ ეყრდნობა მხოლოდ ხილულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება მოითხოვს დიდი რაოდენობით არაჩილული მონაცემების გამოყენებას).

ტრანზაქციის ხარჯები არის ზედნადები ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან რეალიზაციას. ზედნადებია ისეთი ხარჯი, რომლის გაწევა საჭირო არ იქნებოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილი ჰონორარი და საკომისიო, მარეგულირებელი სამსახურებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლები, გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის ვალის პრემიუმები და დისკონტები, ფინანსური ხარჯები და შიდა აღმინისტრაციული ან ჰოლდინგური ხარჯები.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, რასაც აკლდება გადახდილი ძირითადი თანხ, ემატება დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გათვალისწინებით კორექტირებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციის ფასი.

საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა ხილული მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ხილული საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „სამართლიანი ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ ("FVTPL"), „სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ("FVOCI") და ამორტიზებული ღირებულებით ("AC"). სასესხო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (1) შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელსა და (2) ფულად ნაკადებზე, რომლებითაც ეს აქტივი ხასიათდება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას ("SPPI"). როდესაც სახელმეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელმეკრულებასთან თანხვედრაში არ არის, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. პირს არ მოუხდენია ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესაღარიპი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალ ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელმეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელმეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელმეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანია იყენებს ფასს 9 სტანდარტით გათვალისწინებულ გამარტივებულ მიდგომას, რომელიც გულისხმობს ყველა სავაჭრო მოთხოვნაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის შექმნას მთელი არსებობის მანძილზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებით (მოთხოვნები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონით, პროდუქტის ტიპით, კლიენტის რეიტინგით, უზრუნველყოფით ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევით).

ფინანსური აქტივები – ჩამოწრა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწრება, როდესაც კომპანია ამოწრავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის,

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

3. სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ის ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელმძღვანელო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, და იმავდროულად (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) „სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ („FVTPL“): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრუდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალის ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) ლეფოლტი და (iii) გადახდისუნარიობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე ღეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) მათი ფლობის მიზანია სახელმძღვანელო და იმ ფულადი ნაკადის მიღება, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას („SPPI“) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვს სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

მპს ბლეუ სი ტრანს ჯორჯია

3. საადრინცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელმეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულისა და ფულის ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულებების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ამ უკანასკნელში შესწორების შეტანა შეიძლება მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილებით.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისათვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შემავალი დღე, რომელიც უკავშირდება ძირითადი საშუალებების საგნების შეძენას, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღე-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამამტკიცებელი ხელმძღვანელობის დასტური.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და პროგნოზები, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

მეკავშირე მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის მიმდინარეობისას კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს მეკავშირე მხარეებთან. ფასს 9 სტანდარტის მოთხოვნაა, ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება მოხდეს სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. იმის დასადგენად, ტრანზაქცია შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, თუ ამგვარი ტრანზაქციის მოქმედი ბაზარი არ არსებობს, გამოიყენება განსჯა. განსჯის საფუძველია არამეკავშირე მხარეებთან განხორციელებული მსგავსი ტიპის ტრანზაქციის ფასები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანიამ გამოიყენა ფასს სტანდარტებისა და სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ პერიოდებზე. ამ შესწორებების მიღებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე ან აქ გაკეთებულ განმარტებებზე.

შესწორება ბასს 1	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად
შესწორებები ფასს 16	საიჯარო ვალდებულება გაყიდვა - უკუიჯარის ტრანზაქციაში
შესწორებები ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით
შესწორებები ბასს 7 და ფასს 7	ფინანსური შეთანხმებები მიმწოდებლებთან

ცვლილებები ბასს 1-ში — ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი

ცვლილებების მიზანია უზრუნველყოს მოთხოვნების თანმიმდევრული გამოყენება იმით, რომ კომპანიებს დაეხმაროს განსაზღვრონ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა კლასიფიცირდეს თუ არა სესხები და სხვა ვალდებულებები გაურკვეველი დაფარვის თარიღით როგორც მიმდინარე (სადაც ვალდებულება გადასახდელია ან შესაძლოა გადასახდელი იყოს ერთი წლის განმავლობაში) თუ არამიმდინარე.

შესწორებები ფასს 16_ში - საიჯარო ვალდებულება გაყიდვა - უკუიჯარის ტრანზაქციაში

ცვლილებები IFRS 16-ში განმარტავს, როგორ უნდა მოახდინოს გამყიდველმა-მქირავებელმა შემდგომში იმ გაყიდვა-ქირავნობის ტრანზაქციების გაზომვა, რომლებიც აკმაყოფილებს IFRS 15-ის მოთხოვნებს და აღიარებულია როგორც გაყიდვა.

შესწორებები ბასს 1_ში - გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

ცვლილებები IAS 1-ში განმარტავს, თუ როგორ გავლენას ახდენს პირობები, რომელთა შესრულებაც კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ვალდებულების

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

მარი ბერიკაძე

კლასიფიკაციაზე.

შესწორებები ბასს 7 და ფასს 7_ში - ფინანსური შეთანხმებები მიმწოდებლებთან

ცვლილებები აწესებს დამატებით მოთხოვნებს და მითითებებს არსებული განმარტებების მოთხოვნებში, რომლებიც კომპანიებს ავალდებულებს წარმოადგინონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს სტანდარტები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს სტანდარტებს:

შესწორება სტანდარტში ბასს 21	ურთიერთგაცვლის ნაკლებობა
შესწორებები სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7	ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება
ფასს 18	ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და განმარტებები
ფასს 19	შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები
ყოველწლიური გაუმჯობესებები	ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება - ტომი 11

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია შემოსავალს იღებს ნავთობის, მსუბუქი საწვავისა და ნავთობქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო გადაზიდვის ორგანიზებიდან.

	2024 GEL	2023 GEL	2024 USD	2023 USD
შემოსავალი ფორვარდული მომსახურებებიდან	71,971	183,506	26,452	69,830
შემოსავალი საწვავის გაყიდვიდან	-	1,114	-	424
სხვა შემოსავალი	72	72	27	27
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	72,043	184,692	26,479	70,281

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

ამომხმარებელი

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

კომპანიას შემოსავლის 100% (2023: 88%) მიღებული აქვს კომპანიისგან, რომელიც არის მისი მეკავშირე მხარე. განმარტება მეკავშირე მხარესთან დაკავშირებით იხილეთ მე-15 შენიშვნაში. 2024 და 2023 წლებში მიღებული შემოსავალი, რომელიც თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში შევიდა საკონტრაქტო ვალდებულებათა ნაშთში, იყო ნული და 1,112 ათასი ლარი (413 ათასი აშშ დოლარი), შესაბამისად.

7. გაყიდვების თვითღირებულება

	2024 GEL	2023 GEL	2024 USD	2023 USD
გადაზიდვისა და ექსპედირების ხარჯები	63,176	160,853	23,220	61,210
გაყიდული საწვავის თვითღირებულება	-	1,114	-	424
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯი	205	237	75	90
სულ გაყიდვების თვითღირებულება	63,381	162,204	23,295	61,724

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 GEL	2023 GEL	2024 USD	2023 USD
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები	5,560	4,336	2,043	1,649
მენეჯმენტის საკონსულტაციო ჰონორარი	1,469	1,420	540	540
საოფისე ადმინისტრაციული ხარჯები	366	323	135	123
დაცვის მომსახურება	202	166	74	63
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	197	243	72	92
საწვავი და რემონტი	144	113	53	43
პროფესიული ხარჯები	110	88	40	34
წარმომადგენლობითი ხარჯები	97	327	36	126
სამივლინებო ხარჯები	89	158	33	60
ცვეთა და ამორტიზაცია	48	44	18	17
სხვა	183	172	67	65
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	8,465	7,390	3,111	2,812

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL	2023 წლის 31 დეკემბერი GEL	2024 წლის 31 დეკემბერი USD	2023 წლის 31 დეკემბერი USD
სავაჭრო მოთხოვნები	24,675	20,203	8,791	7,512
გადაზიდვის მომსახურებაზე მისაღები ავანსები	1,419	2,308	506	858
სხვა არაფინანსური მოთხოვნები	160	44	57	17
საგადასახადო აქტივი, წმინდა	92	12	33	4
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26,346	22,567	9,387	8,391

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს ფული და ფულის ეკვივალენტები იყო:

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL	2023 წლის 31 დეკემბერი GEL	2024 წლის 31 დეკემბერი USD	2023 წლის 31 დეკემბერი USD
მოთხოვნამდე გადასახდელი საბანკო ნაშთები	4,194	3,094	1,494	1,150
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,194	3,094	1,494	1,150

ფულისა და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი. მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკში, რომლის „ფიტჩის“ რეიტინგია BB-. დენომინაციის ვალუტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-17 შენიშვნაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების ზარალი აღიარებული არ ყოფილა, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

11. საწესდებო კაპიტალი

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL	2023 წლის 31 დეკემბერი GEL	2024 წლის 31 დეკემბერი USD	2023 წლის 31 დეკემბერი USD
პარტნიორის წილი*	100	100	59	59

*თანხა ლარში და აშშ დოლარში

სადაზღვეოებლო შეთანხმების მიხედვით, კომპანიამ საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრა 100 ლარით (59 აშშ დოლარი). კაპიტალი ჯერ გადახდილი არაა და ითვლება პარტნიორის მიმართ არსებულ მოთხოვნად.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL	2023 წლის 31 დეკემბერი GEL	2024 წლის 31 დეკემბერი USD	2023 წლის 31 დეკემბერი USD
სავაჭრო ვალდებულებები	170	196	60	73
საკონტრაქტო ვალდებულებები - კლიენტებისგან მიღებული ავანსები	-	1,112	-	413
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	400	108	143	40
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	570	1,416	203	526

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

13. მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2024 წლის 31 დეკემბერი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
ნასესხები სახსრები:					
შპს არგოტრანს ჯორჯია	USD	8%	2025	5,625	2004
სულ				5,625	2004
მოძრაობა ნასესხებ ფულად სახსრებში:					
				2024 ლარი	2024 აშშ დოლარი
1 იანვარი				-	-
სესხის აღება				5,614	2,000
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი				12	4
გადახდილი პროცენტი				-	-
გადახდილი ძირი				-	-
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა ეფექტი				(1)	-
31 დეკემბერი				5,625	2,004

14. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური რისკის მართვა. კომპანიაში რისკის მართვის ფუნქცია სრულდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზანია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს აღებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას აქვს ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით.

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL	2023 წლის 31 დეკემბერი GEL	2024 წლის 31 დეკემბერი USD	2023 წლის 31 დეკემბერი USD
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,675	20,203	8,791	7,512
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,194	3,094	1,494	1,150
სულ ფინანსური აქტივები	28,869	23,297	10,285	8,662

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

14. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	GEL	GEL	USD	USD
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	570	304	203	113
მოკლევადიანი სესხი	5,625	-	2,004	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,195	304	2,207	113

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები წარმოშობს ისეთ მთავარ რისკებს, როგორებიცაა სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიაზე მოქმედი ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია უცხოურ ვალუტაში ახორციელებს გარკვეულ ტრანზაქციებს. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის ზემოქმედების სამართავად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები იყო:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	USD	EUR	TRY	USD	EUR	TRY
	USD 1 = 2.8068 GEL	EUR 1 = 2.9306 GEL	TRY 1 = 0.079 GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL	TRY 1 = 0.091 GEL
ფინანსური აქტივები						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,358	-	-	19,800	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,449	29	-	1,884	242	891
სულ ფინანსური აქტივები	27,807	29	-	21,684	242	891
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	193	14	-	96	6	-
მოკლევადიანი სესხი	5,625	-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,818	14	-	96	6	-
სულ წმინდა პოზიცია	21,989	15	-	21,588	236	891

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

14. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია კომპანიის მგრძნობელობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-იანი გამყარება-გაუფასურების მიმართ. ანალიზმა მოიცვა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებული მონეტარული ერთეულები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL + 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადამდე	4,398	(4,398)

	EUR ზეგავლენა	
	EUR/GEL + 20%	EUR/GEL + 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადამდე	3	(3)

	TRY ზეგავლენა	
	TRY/GEL + 20%	TRY/GEL + 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადამდე	-	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL + 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადამდე	4,318	(4,318)

	EUR ზეგავლენა	
	EUR/GEL + 20%	EUR/GEL + 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადამდე	47	(47)

	TRY ზეგავლენა	
	TRY/GEL + 20%	TRY/GEL + 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადამდე	178	(178)

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

14. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთებში მისთვის არახელსაყრელი მოძრაობის ზემოქმედება, რაც გამოიხატება მოზიდულ სახსრებზე დარიცხული პროცენტის ზრდაში და გაცემულ სახსრებზე მისაღები შემოსავლის კლებაში. კომპანიას არ აქვს ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების სასურველი ზემოქმედების რეგულირების ფორმალური პოლიტიკა. საანგარიშო თარიღისათვის, კომპანიას აღებული სესხები არ აქვს.

ამგვარი ცვლილებების შედეგად, საპროცენტო ზღვარი შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი მოძრაობის წარმოშობისას ამან შეიძლება შეამციროს ზარალი, ან პირიქით, გამოიწვიოს ზარალის დადგომა. კომპანია საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას არ აკეთებს.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც კონტრაგენტის მხრიდან ვალდებულების ვერ შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს საანგარიშო თარიღში ფლობილი ფინანსური აქტივებიდან მომავალი ფულადი ნაკადების შემცირება. კომპანიას საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ აქვს კონცენტრირებული. კომპანიაში მოქმედებს პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფს საქონლის გაყიდვას და მომსახურების მიწოდებას სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებისათვის. კომპანია აგრეთვე უწყვეტად აკვირდება მოთხოვნების ვადიანობის მდგომარეობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჩადებულია საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება, რაც საანგარიშო თარიღისათვის იყო:

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL	2023 წლის 31 დეკემბერი GEL	2024 წლის 31 დეკემბერი USD	2023 წლის 31 დეკემბერი USD
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,675	20,203	8,791	7,512
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,194	3,094	1,494	1,150
საბალანსო ღირებულება	28,869	23,297	10,285	8,662

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეზღუდვს ყველა ვალდებულების გასტუმრებას მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში აღწერილია კომპანიის შეთანხმებული დაფარვის ვადიანობის მქონე, არადერივაციული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, გადახდის უახლოესი შესაძლო თარიღის საფუძველზე. ცხრილებში შედის როგორც ძირი თანხის, აგრეთვე პროცენტის ფულადი ნაკადები. საკონტრაქტო ვადიანობა ეფუძნება გადახდის უახლოეს შესაძლო თარიღს.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

2024 წლის 31 დეკემბერი GEL	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	სულ
უპროცენტო პროცენტიანი	570 -	-	- 6,075	-	570 6,075
სულ	570	-	6,075	-	6,645

2023 წლის 31 დეკემბერი GEL	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	სულ
უპროცენტო	304	-	-	-	304
სულ	304	-	-	-	304

2024 წლის 31 დეკემბერი USD	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	სულ
უპროცენტო პროცენტიანი	203 -	- -	- 2,164	- -	203 2,164
სულ	203	-	2,164	-	2,367

2023 წლის 31 დეკემბერი USD	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	სულ
უპროცენტო	113	-	-	-	113
სულ	113	-	-	-	113

15. ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეები მოიცავს მფლობელებს, კომპანიის პარტნიორებს, კომპანიას ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს.

მეკავშირე მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არამეკავშირე პირები ვერ განახორციელებენ და მეკავშირე მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც ტრანზაქციები არამეკავშირე მხარეებს შორის.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

15. ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან (გაგრძელება)

მეკავშირე მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. მეკავშირე მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

2024 წლის 31 დეკემბერი GEL	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ		
		სულ (GEL)	სულ (USD)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,492	24,492	8,726
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	190	190	68
მოკლევადიანი სესხი	5,625	5,625	2,004
შემოსავალი მომხმარებლებთან დაკავშირებული ხელშეკრულებებიდან	72,049	72,049	26,481
მომსახურების თვითღირებულება	2,818	2,818	1,036
ზოგადი და აღმინისტრაციული ხარჯები	(2,041)	(2,041)	(750)

2023 წლის 31 დეკემბერი GEL	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ		
		სულ (GEL)	სულ (USD)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,456	18,456	6,862
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,288	1,288	479
შემოსავალი მომხმარებლებთან დაკავშირებული ხელშეკრულებებიდან	163,362	163,362	62,164
მომსახურების თვითღირებულება	(3,097)	(3,097)	(1,179)
ზოგადი და აღმინისტრაციული ხარჯები	(1,930)	(1,930)	(734)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება. „პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედის“ („ჯგუფი“) დაქვემდებარებული ქართული კომპანიების ბიზნეს-ოპერაციები და საქმიანობა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. უმაღლესი ხელმძღვანელობის პირები პერიოდულ როტაციას გადიან ჯგუფის საჭიროებების მიხედვით. 2024 წელს შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ უმაღლესი ხელმძღვანელობიდან შესაბამისი ანაზღაურება მიიღო ხუთმა პირმა (2023: ხუთი).

2024 და 2023 წლებში უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 2,939 ათასი ლარი (1,047 ათასი აშშ დოლარი) და 3,357 ათასი ლარი (1,278 ათასი აშშ დოლარი), შესაბამისად.

16. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მფლობელებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მას კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიას არ მოქმედებს გარედან დაკისრებული რაიმე კაპიტალის მოთხოვნები.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

17. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას რაიმე შესასრულებელი მატერიალური ვალდებულებები ნაკისრი არ აქვს.

სასამართლო დავები. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონების, ოფიციალური დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებით. არცთუ იშვიათად, აღნიშნული ნორმები გაუგებარი და ურთიერთგამომრიცხავია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან განსხვავებული ინტერპრეტაციით ხასიათდება. გადასახადების შემოწმება და გამოძიება რამდენიმე სამთავრობო ორგანოს შეუძლია, რომელთაც აქვთ უფლება, პირს დააკისრონ მძიმე ჯარიმები, საურავები და პროცენტი.

ბუღალტრული ჩანაწერები საგადასახადო შემოწმებისათვის დიაა სამი კალენდარული წლის განმავლობაში, გამოჩაღის გარემოებებში კი - უფრო დიდხანსაც. ეს გარემოებები საქართველოში ქმნის ბევრ სხვა ქვეყანაში არსებულზე არსებითად უფრო მაღალ საგადასახადო რისკებს.

კლიმატის ცვლილება. კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებებზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მოვლენების განვითარების მონიტორინგს და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და ამგვარი გამოიცემა კომპანიის ბაზრებზე.

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად კეთდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი ხილულია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არახილული მონაცემები).

ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვიდით დასაჯგუფებლად იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლებრივ ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ აისახება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულების განმარტება აუცილებელია. აქტივებისთვის, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL				2023 წლის 31 დეკემბერი GEL			
	პირველი დონის რეალური ღირებულება	მეორე დონის რეალური ღირებულება	მესამე დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	პირველი დონის რეალური ი ღირ- ებუ	მეორე დონის რეალური ი ღირებულება	მესამე დონის რეალური ი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	24,675	24,675	-	-	20,203	20,203
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,194	-	-	4,194	3,094	-	-	3,094
სულ აქტივები	4,194	-	24,675	28,869	3,094	-	20,203	23,297

	2024 წლის 31 დეკემბერი USD				2023 წლის 31 დეკემბერი USD			
	პირველი დონის რეალური ღირებულება	მეორე დონის რეალური ღირებულება	მესამე დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	პირველი დონის რეალური ღირებულება	მეორე დონის რეალური ღირებულება	მესამე დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	8,791	8,791	-	-	7,512	7,512
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,494	-	-	1,494	1,150	-	-	1,150
სულ აქტივები	1,494	-	8,791	10,285	1,150	-	7,512	8,662

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

მპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯია“
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათასობით ქართულ ლარსა და აშშ დოლარში)

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი GEL				2023 წლის 31 დეკემბერი GEL			
	პირველი დონის რეალური ღირ- ება	მეორე დონის რეალური ღირ-ება	მესამე დონის რეალური ღირ-ება	საბალანსო ღირებულება	პირველი დონის რეალური ღირ-ება	მეორე დონის რეალური ღირ-ება	მესამე დონის რეალური ღირ-ება	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები								
სავაჭრო გადასახდელები	-	-	570	570	-	-	1,416	1,416
მოკლევადიანი სესხი	-	-	5,625	5,625	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	-	-	6,195	6,195	-	-	1,416	1,416

	2024 წლის 31 დეკემბერი USD				2023 წლის 31 დეკემბერი USD			
	პირველი დონის რეალური ღირ-ება	მეორე დონის რეალური ღირ-ება	მესამე დონის რეალური ღირ-ება	საბალანსო ღირებულება	პირველი დონის რეალური ღირ-ება	მეორე დონის რეალური ღირ-ება	მესამე დონის რეალური ღირ-ება	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები								
სავაჭრო გადასახდელები	-	-	203	203	-	-	526	526
მოკლევადიანი სესხი	-	-	2,004	2,004	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	-	-	2,207	2,207	-	-	526	526

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

19. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

საანგარიშო პერიოდის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც მოითხოვდა განმარტებას ან კორექტირებას.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა და გამოსაშვებად დაამტკიცა 2025 წლის 20 ოქტომბერს.

* აშშ დოლარში ეკვივალენტური თანხები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს დაფიქსირებული კურსით: US\$1 = GEL 2.8068 (2023 წლის 31 დეკემბერი: US\$1 = GEL 2.6894). მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული თანხები ლარიდან დოლარში გადაყვანილია 2024 წლის საშუალო კურსით: US\$1 = GEL 2.7208 (2023: US\$1 = GEL 2.62799753).

მმართველობის ანგარიში

1. კომპანიის საქმიანობა

შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ ძირითადი საქმიანობაა ტრანზიტული ტვირთის (ნავთობპროდუქტები) გადაზიდვა სარკინიგზო ტრანსპორტით ფოთისა და ბათუმის რკინიგზის სადგურებიდან სომხეთის მიმართულებით. 2022 წლიდან 2023 წლის სექტემბრამდე კომპანიას დაემატა ახალი მიმართულება საზღვაო ტრანსპორტის სახით. ამჟამად, კომპანიის მთავარი და ერთადერთი პროფილი კვლავ სარკინიგზო გადაზიდვაა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 31 დაქირავებული პირი, ხოლო ძირითადი საქმიანობის მომხმარებელთა რაოდენობა თორმეტს შეადგენდა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანამშრომელთა რაოდენობა იყო 29, ხოლო ძირითადი კლიენტებისა - 3 კომპანია.

კომპანია კლიენტს სთავაზობს საქართველოს რკინიგზით დანიშნულების სადგურამდე ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი, საავიაციო საწვავი) გადაზიდვის დაგეგმვასა (ფინანსური, ლოგისტიკური, საოპერაციო და სხვა გვერდითი მომსახურებები) და კონტროლს. ამაში შედის ავზი-ვაგონების შოვნა და მობილიზება, ავსების კონტროლი, გაზომვა, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ფინანსური და სტატისტიკური ჩანაწერების ხელმოწერის პროცესების კონტროლი.

2. სამომავლო გეგმები

კომპანიის მთავარი მიზანია მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნება, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, სახელმწიფო რკინიგზაზე ტვირთბრუნვის გაზრდას და მსოფლიო კლასის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანზიტული გადაზიდვის ხელშეწყობას. შესაბამისად, კომპანიის მომავალი გეგმები უკავშირდება ტვირთბრუნვის გაზრდას და ახალი მომხმარებლების მოძიებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების ხარისხის გაზრდას. შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ პერიოდულად განახლებს და აუმჯობესებს საოპერაციო პროცედურებს სამომავლო გეგმების განხორციელების უზრუნველსაყოფად. კომპანიის პერიოდული აუდიტი სახელმწიფო უწყებებისა თუ კერძო კომპანიების მხრიდან არის მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების ტენდენციის გარანტია.

სამომავლო გეგმების განხორციელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შემდეგი:

- პერსონალის პროფესიული განვითარება პერიოდული წვრთნისა და სერტიფიცირების საშუალებით;
- საოპერაციო პროცედურების პერიოდული განახლება-გაუმჯობესება;
- შრომითი უსაფრთხოების სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავება-განხორციელება.

ამ ამოცანების გადაჭრა არის კომპანიის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზა.

კომპანია მუდმივად ცდილობს, გააუმჯობესოს კომუნიკაცია გადაზიდვებთან დაკავშირებულ მხარეებთან, მათ შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, მიაღწიოს პროცესების მაქსიმალურად დაჩქარებას, შეამციროს ინტერვალები ცალკეულ პროცესებს შორის და, ამდენად, გაზარდოს შედეგიანობა.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

3.1. ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ მთლიანმა მოგებამ შეადგინა 8,662,000 ლარი, რაც 160%-ით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელზე. შემოსავლისა და, შესაბამისად, საოპერაციო მოგების შემცირება ძირითადად გადაზიდვების მოცულობის შემცირებით იყო განპირობებული.

გაბრიელ ნიჭიერაძე

2023 წელს შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიამ“ შემოსავალი ასევე მიიღო სპოტ ვაჭრობიდან (გემების ერთჯერადი გაქირავება). 2023 წლის სექტემბრის შემდგომ, კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა დარჩა სარკინიგზო გადაზიდვა. საბოლოოდ, 2024 წლის ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე, კომპანიის მოგება შეადგინა 102,000 ლარი.

3.2. არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა - საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას ესმის თავისი პასუხისმგებლობა გარემოს შესაძლო დაბინძურების თავალსაზრისით. შეიძლება მოხდეს ნავთობის დაღვრა, ხანძარი ან აფეთქება. თუმცა კომპანიას პირდაპირი შეხება ავსების ან დაცვის პროცესებთან არ აქვს, მისი შიდა პოლიტიკიდან და გარემოს დაცვის მიმართ პასუხისმგებლიანი მიდგომიდან გამომდინარე, ის ყველა ზომას ხმარობს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში კონტროლის უზრუნველსაყოფად. დიდი ყურადღება ექცევა ინსპექტირების დროს აღმოჩენილი უმცირესი ხარვეზის გამოსწორებასაც კი.

4. რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია რისკების მართვის მექანიზმების თაობაზე

კომპანია ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დროულად მოხდეს პრობლემების აღმოჩენა და თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგები. ფინანსური რისკი გულისხმობს იმის რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს ფინანსური ვალდებულებების შესრულებას. კომპანია მუდმივად ამოწმებს ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს. ამის საშუალებით ის უზრუნველყოფს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფინანსური რისკების, გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის რისკის მაქსიმალურად შემცირებას.

4.1. ფინანსური რისკები

სავალუტო რისკი - კომპანიის ფინანსურ შედეგებზე ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედება. კომპანიის ზოგიერთი ტრანზაქცია დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. თუმცა, რისკის მართვის ფარგლებში, კომპანიის შემოსავალი და მთავარი საოპერაციო ხარჯები დენომინირებულია აშშ დოლარში, რაც ამცირებს კომპანიის მგრძნობელობას კურსის რყევის მიმართ.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტის მხრიდან ვალდებულებათა შეუსრულებლობას შეუძლია ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების შემცირება. რისკის მართვის სწორი მიდგომების წყალობით, აღნიშნული რისკი დაბალია, რადგან კომპანიას აქვს პოლიტიკა, რომლის მიხედვით პროდუქტების მიყიდვა და მომსახურების გაწევა ხდება სათანადო საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტებზე. გარდა ამისა, კომპანია მუდმივად ამოწმებს მოთხოვნების ვადიანობას. მაქსიმალური საკრედიტო რისკის მოცულობა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას ემთხვევა.

ლიკვიდურობის რისკი - რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ვალდებულებათა დაფარვას მათზე მოთხოვნის ვადის დადგომისას. კომპანია მუდმივად აანალიზებს ფარდობას ფინანსურ ვალდებულებებსა და საოპერაციო საქმიანობის ფულად ნაკადებს შორის, რითაც აღნიშნულ რისკს მინიმუმზე ინარჩუნებს.

4.2. საოპერაციო რისკები

ტექნოლოგიური ზიანი და ინციდენტები - იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობპროდუქტების გადაზიდვა მაღალრისკიანი ბიზნესია, აუცილებელია საოპერაციო პროცესის თითოეული ელემენტის რისკ-ფაქტორების შეფასება.

საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე, აუცილებელია მოსალოდნელი საფრთხის რისკის შეფასება და მისი მინიმუმამდე დაყვანა.

მოლოდინების, განზრახვებისა და საბრუნავი კაპიტალის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ დღეიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, კომპანია არის და იქნება უწყვეტად მოქმედი საწარმო.

ნაბიზ ბაქრაძე

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N251534362



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

10.11.2025 6

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სოფიკო გობეჯიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი
3, ბინა N1

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 725310

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

57741638558925



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, თბილისი, 10.11.2025წ.

მე, ნოტარიუსი სოფიკო გობეჯიშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N49 კვარტალი I, კორპ. 3, ბინა 1, ვადასტურებ თარჯიმნის ნინო წოწკოლაურის (დაბ. 19.09.1981წ. პ/ნ 01025008026, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი მირიან მეპის ქ. N 77 ბ. 20, ბაკალავრის დიპლომი B N07786, გაცემული 2002წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო N 01/143) ხელმოწერის სინამდვილეს. მე გავაფრთხილე თარჯიმანი ნინო წოწკოლაური, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. მე, ნოტარიუსი სოფიკო გობეჯიშვილი ვამოწმებ თარჯიმნის ნინო წოწკოლაურის ხელმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან მის ნამდვილობას. 35 გვ. 1 egz.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 105 ლარი ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.4-ის თანახმად), დღგ - 18.90 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 128.90 ლარი.

ნოტარიუსი
Notary

Tbilisi, Georgia, 10.11.2025

I, Notary Sofiko Gobejishvili at my Notary Office, located at the address: apt. 1, block 3, quarter 1, N49 Vazha-Pshavela Ave. Tbilisi, confirm the authenticity of the signature of the translator Nino Tsotskolauri (born on 19.09.1981, registered at the address: Apt.20, Building 77, Mirian Mepe st. Tbilisi, P/N 01025008026, Bachelor's Diploma B N07786, issued on 2002 by Ivane Javakhishvili State University of Tbilisi, registration N 01/143). I have warned the translator Nino Tsotskolauri that she is responsible for the accuracy of the translation and she has confirmed that she possesses the English language properly and provides true and accurate translation. I, Notary Sofiko Gobejishvili confirm the authenticity of the signature of the translator Nino Tsotskolauri and not the correctness of legal facts or validity of the document. 35 p. 1 c.

Notary fee – 105 GEL according to Resolution N507 of the Government of Georgia, Article 31/4 "on applying notary fee" and due to the amount established for the Notary Chamber of Georgia "rules of payment and terms of service" dated 29.12.2011, VAT 18.90 GEL according to the article 166 of the Tax Code of Georgia - 5 GEL registration fee according to the article 39/1 of the same Resolution. Totally paid 128.90 GEL.

/სოფიკო გობეჯიშვილი/
/Sofiko Gobejishvili/

